საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

№ 1 1921 წ. პარასკევი მარტის 25

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახელ მევენახეთა კავშირთ კავშირის გამგეობა მწუხარებით აუწყებს წევრებს და ნაცნობებს, რომ ყოფილი გამგეობის თავმჯდომარე

**ვასილ ესტატეს ძე მჭედლიშვილი**

გარდაიცვალა სოფ. საგარეჯოში.

---

გაზეთ

**„სოციალისტ-ფედერალისტის"**

მიღება შეიძლება ცენტრალ ექსპედიციაში, რუსთაველის პრ. № 11.

---

**საერთო კრება ფოსტა-ტელეგრაფში**

პარასკევს, მარტის 25-ს საღამოს 6 საათზე მთავარფოსტის კონტორის დარბაზში პლეხანოვის პროსპექტი. ფოსტა-ტელეგრაფის სოც.-ფედერალისტთა ორიანიზაცია იწვევს

**ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურე სოც.-ფედერალისტთა საერთო კრებას**

რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს

**პროფ. შალვა ნუცუბიძე**

თანამედროვე მომენტზე

დასწრება შეუძლია ყველა მუშა-მოსამსახურეს.

ასეთივე კრება გაიმართება შაბათს მარტის 26-ს საღამოს 6 საათზე ტრამვაის პარკის დარბაზში

**ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთათვის**

---

## ფურცლები

1.

### ქემალის სცენები

**დიპლომატია**, საერთაშორისო სამართალი, ოდესღაც კიდევ ჰააგაზე ლაპარაკი, ლამაზი თეორიები... ყველაფერი ეს კაი ხანია წალეკა იმპერიალიზმის სვავმა და ჩვენს წინაშე გადაიშალა ისევ და ისევ ერისა და განსაზღვრულ კლასის ინტერესებზე აგებული ვიწრო ნაციონალისტური და კლასობრივი ცვახანალია.

**წითელი რუსეთის** დიპლომატია ჩვენ წარმოგვიდგა როგორც პროტოტიპი ახალი საერთაშორისო სამართლისა, წითლების დიპლომატია ჩვენ დაგვესახა როგორც ნოველა საერთაშორისო სამართლის სფეროში და ვფიქრობდით წითელი დროშით აღჭურვილი ქემალის დიპლომატია სრული უარყოფა იქნებოდა აბდულ ჰამიდის საიდუმლო და გაურკვეველ ნიუანსების დიპლომატიისა.

მოვსტყუვდით საშინლად! ქემალის პოლიტიკა საქართველოში ფრიად მძაფრად წარმოებულ მარტის უკანასკნელ დღეებში გაცილებით უნდო, ბუნდოვანი და საეჭვოა ვიდრე თითონ მარტის თვის დღეები.

ყოველ დიპლომატიაში უცვლელად რჩება ლაპარაკის პროცესი, ენათა და სხვა ბუნების ორგანოების მგერა, მაგრამ ქემალის ტვინის, ბაგის და კბილის მოძრაობაში ჩვენ იოტის ოდნავაც ვერ დავინახეთ ვერავითარი ნოველა დიპლომატიაში, ვერავითარი სინათლე, ვერავითარი სოციალიზმი, ელემენტარული პატივიც კი თავის მოკავშირე რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისადმი.

ჩვენმა ხალხმა უკვე კარგად იცის, რომ მენშევიკური მთავრობის დამხობა საქართველოს ბევრმა ჰიე-ღვამ გაიგო როგორც დამოუკიდებელ საქართველოს აღსასრული, ბევრს ისიც ეგონა, რომ მოკვდა საქართველო, როგორც იურიდიული პიროვნება, წაიშალნენ საქართველოს ისტორიული საზღვრები, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები და დასახეს საქართველო დიდი რუსეთის პატარა პროვინციად რომლის ტერიტორიის გლეჯა, ქართველი ხალხის ტერიტორიალურ სხეულზე ქირურგიული ექსპერიმენტები თითქოს საჯაროდ იყო ნებადართული ვაკხანალია ბორჩალოში, ავანტიური ესხეთის დედა ქალაქში, დამკვიდრება არტაანში, შემდეგ ბათომის სამარცხვინო ეპოპეა—სურათები გახლავთ საქართველოს ცოცხალი სხეულის დაგლეჯის, საქართველოს დასახვა როგორც უპატრონო ქვეყნისა, საქართველოს ვაებისა და უბედურებისა.

ჩვენ მოწმე ვართ საქართველოს საზღვრებზე ჩვენი მტრების დიპლომატიური და მილიტარული დემონსტრაციებისა და ამ სცენებმა ჩვენ ყველას დაგვანახა, რომ საქართველოს ტერიტორიის დამგლეჯნი საქართველოს რევკომის ხალხს უცქერიან როგორც ყოვლად უძლურ ძალას, რომლიდანაც ყველას შეუძლია საქართველოდან ყველაფრის წაგლეჯა თუ ამას მოახერხებს დროზე, მოსწრებით.

ჩვენ გვინდა აქ განსაკუთრებით შევჩერდეთ ქემალის სცენაზე ახალციხესა და ბათომში. ჩვენ ნებას არ ვაძლევთ ჩვენს ძვირფას კალამს თავის წვერებში შთანთქოს ყოველი სიმართლე და ეს სანუკვარი ატრიბუტი მშრომელი კაცობრიობისა სადმე მიჩქმალოს.

ქემალის გაბედული მოქმედება მესხეთსა და სამაჰმადიანო საქართველოში აგებული იყო იმ რწმენაზე, რომ საქართველოს, როგორც ბევრს ძლიერს ყავს პატრონი, რომ რევკომში სამშობლოს სიყვარული ყელს ზევით გამოთქმული დეკლარაცია, რომ საქმეთა საზღვრებში ცერემონიალური სეირნობა რომელიმე ჯარებისა და ეს ტერიტორიაც იმის მფლობელობაში შევა ვინც შესძლებს ასეთს ცერემონიალს.

ქემალის მთელი პოლიტიკა არსებითად სრული უყურადღებობა იყო საქართველოს რევკომისადმი, მისი სუვ... არსება აღიარება, მისი სახელის დაცვა. მაშ სხვა გვარად როგორ უნდა ავუხსნათ ის ფაქტი, რომ ქემალმა თავის მოკავშირე სახელმწიფოს დაუკითხავად, რევკომის მოწინააღმდეგე ძალას მენშევიკურ მთავრობას გაუბა მრავალი ორპირული ქაღალდი და შემოიყვანა თავისი ჯარები ბათომში? როგორ უნდა ავხსნათ ქემალის პოლიტიკა მესხეთში, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა წითელი ჯარის მიმართულება ახალციხეში და თვითონ კი არტაანიდან საჩქაროდ დაიჭირა ხსენებული ქალაქი?

ეს კიდევ ცოტაა. უკვე ამ მარტისათვის ანგორამ მოსკოვის თათბირის შემდეგ იურიდიულად აღიარა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენიტეტი, მესხეთი და სამაჰმადიანო საქართველო იცნო როგორც განუყოფელი ნაწილი საქართველოს რესპუბლიკისა და ამას შემდეგაც ქემალის ჯარის ნაწილები არა თუ არ გადიან საქართველოს ტერიტორიებიდან, პირიქით, ბრძოლას აწარმოებენ მაშინ, როცა ტერიტორიას იჭერს საქართველოს რევკომის ძალა.

მაგრამ ქემალი ერთს უმთავრეს დებულებაში მოსტყუვდა. საქართველოს რევკომი ვანკა-სტანკა კი არ გამოდგა, რომელსაც მაშინ წააქცევთ, როცა ხელს წაკრავთ, არამედ ის მკვიდრი ძალა, რომელსაც ნამდვილად ესმოდა შინაარსი სუვერენიტეტისა, სახელმწიფოს აგებულებისა, საზღვრების მნიშვნელობა და სამშობლოს გულწრფელი სიყვარული.

ქემალსა და საქართველოს რევკომის დიპლომატიურ ბრძოლის პროცესში ჩვენ სავსებით ვიზიარებთ რევკომის საღი ნაციონალური პოლიტიკის თვალსაზრისს და შეგვიძლია სრულიად კატეგორიულად განვაცხადოთ, რომ საქართველოს ტერიტორიის მტრებთან ბრძოლაში მთელი ქართველი ხალხი მათთან იქნება და რევკომის ყოველ ისტორიულ ნაბიჯების გაიხდის თავის ნაბიჯად.

საქართველოს ტერიტორია, მისი საზღვრები არის სიმბოლო საქართველოს სუვერენობისა, ეს არის კვანძი საიდანაც იშლება მთელი სახეობა რესპუბლიკის შემოქმედებისა და ის ვინც ამ კარდინალ საკითხში იჩენს ნებისყოფის სისუსტეს, უაზრო მორჩილების გრძნობას ის ვერასოდეს ვერც შექმნის ვერც სახელმწიფოს, ვერც მოიმკის ქართველი ხალხის უანგარო სიყვარულს.

ვინ არის და რა არის ქემალი? ქემალის მთელი ძალა გაზრდილია მოსკოვის მფარველობით და ქემალი ჯერ კიდევ კარგად ხედავს, რომ ის ვერ შესძლებს მოსკოვის წინააღმდეგობას. ეს გამოაშკარავდა ბათომშიაც, როცა ქემალმა მალე დაყარა იარაღი, ხოლო ქემალისტებმა მიმართეს მორიგ ხრიკს, რომელიც გაცილებით უფრო საზიზღიანია ვიდრე მაისის გველის თესლები. ეს საზიზღარი პოლიტიკა იმ სცენაში გამოიხატა, რომელიც თითქოს ადგილობრივ მცხოვრებთა აჯანყებაში გამოჩნდა.

ქემალისტები აშკარად ცდილობდნენ აეჯანყათ ქართველი მაჰმადიანები ქართველ-რუსის ძალების წინააღმდეგ. ქემალს სურდა ადგილობრივი ხალხის აჯანყების მოწყობით დაემტკიცებია ის აზრი, რომ თვით მაჰმადიან ქართველობას არა სურს საქართველოში დარჩენა, რომ ისინი ოსმალეთს აბარებენ თავის ბედ-იღბალს. ამ საზიზღარ და ქუჩური სცენების მოწყობაში ქემალისტები საშინლად დამარცხდნენ, საბოლოოდ გაკოტრდნენ და ისინი თვითონ ქართველმა მაჰმადიანობამ გააკრა სამარცხვინო ბოძზე.

17—18 მარტის საშინელ ქუჩურ ბრძოლაში ქემალისტები გაირეკენ საბოლოოდ, მათ არ მიემხრო არც ერთი ქართველი მაჰმადიანი, მათ ვერ მოაწყვეს ვერც ერთი ქართველი მაჰმადიანი, მათ ვერ მოაწყვეს ვერც ერთი აჯანყება ზურგში, ვერ შეშალეს ვერც გზა, ვერც ტრანსპორტი, ვერ არიეს მიმდინარე ნორმალური ცხოვრება.

ქართველმა ჯარმა მუსრი გაავლო ბათომში ქემალისტებს. ვინ იბრძოდა ქემალისტებიდან?—მხოლოდ ქემალის რამდენიმე ასეული ასკერი, ამათი ტყვიის მფრქვეველები არღვევდნენ ქალაქის ცხოვრების მყუდროებას, ამათი ძალები იჭერდნენ ბინებს, ადმინისტრაციას, მართველობას. არც ერთი სხვა ელემენტი არ ამოუდგა გვერდში ქემალის ჯარს. ბათომში მოხდა ქემალის სრული იზოლიაცია, ოსმალეთის გამარტოება, ოსმალეთის პოლიტიკის კატასტროფა.

17—18 მარტს ქართველები იბრძოდნენ ლომებივით. ჩვენ ამ დღეებში დავკარგეთ ძვირფასი ამხანაგები ბათომის ქუჩებში, მაგრამ მათმა სისხლმა საქართველოს დაფნის გვირგვინს ჩაუმატეს კიდევ ახალი ფურცლები და ყველას აჩვენეს, რომ ქართველი ჯარის კაცი თუ არ იბრძვის და არ სურს ეომოს რუსეთს, რომელიც არ არღვევს საქართველოს სუვერენიტეტს, ის გმირია ავანტიურისტებთან ბრძოლაში და ნებას არავის მისცემს წელში გასტეხოს და გააუბედუროს საქართველო.

დასკვნა აშკარაა ყველასათვის. საქართველოს ჯარი, რომელიც მხარ და მხარ მოქმედებს დღეს რუსეთის წითელ ჯართან მტკიცედ ედება საქართველოს სიცოცხლეს, თვით რევკომთან ერთად მთელი საქართველო დარჩება საქართველოს ტერიტორიის მთლიანობისათვის ბრძოლაში და ჩვენ გვწამს, ყოველი ქართველის შებოჭილი შუბლი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოს ყოველმხრივი საზღვარი საბოლოოდ გამოირკვევა ისე, როგორც ამას მოითხოვს ათასწლოვანი ჩვენი ისტორია, სახელოვანი ჩვენი კულტურა და ამ ქამად დაყრუებული, მაგრამ ეროვნული გრძნობით გაჟღენთილი ქართველი ხალხი.

თედო ღლონტი

---

## ქრონიკა

— **ახალ კომუნების დაარსება ეკატერინფელდი.** (გრუკავრონსტას საკ. კორ.) სოფ. ოფრეთში, ბორჩალოს მაზრაში, დაარსდა სასოფლო-სამეურნეო კომუნა შვიდი კომლისაგან.

— **გრუკავრონსტას ახალი პუნქტი.** ეკატერინფელდი. (გრუკავრონსტას საკ. კორ.) შულავერში, ბორჩალოს მაზრაში, გაიხსნა გრუკავრონსტას და მეჭედლითი საქმის ცენტრის პუნქტი. ამ პუნქტთან მოაწყეს სააგიტაციო პუნქტი და გახსნეს ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

— **უცხოეთის ქვეშევრდომთა ბინები.** (განცხადება ქალაქის რევკომისა). ტფილისის ქალაქის რევკომი აცხადებს, რომ ყველა იმ უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომთა ბინები და ქონება, რომელთა წარმომადგენელნი იმყოფებიან საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობასთან და მასთან მეგობრულ ურთიერთობაში არიან, არ ექვემდებარებიან რეკვიზიციას და ჩასახლებას.

— **საუზმეები მოწაფეთათვის.** სახალხო სასურსათო კომისარიატის კოლეგიამ საჭიროდ ჩასთვალა აძლიოს ცხელი საუზმეები დაბალ და საშუალო სასწავლებელთა მოწაფეებს. ამ საქმის მოწყობა დაევალათ პედაგოგიურ საბჭოებს და მშობელთა წრეებს. პირველად ყოველ მოწაფეს უნდა აძლიონ ერთი მეოთხედი გირვანქა პური და ტკბილი ჩაი. საუზმეებისთვის სურსათს მისცემენ ქალაქის სასურსათო კომიტეტის საზოგადო კვების განყოფილებიდან.

— **სურსათი მუშებისა და მოსამსახურეთათვის.** სახალხო სასურსათო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა დაურიგოს მუშებს და მოსამსახურეებს მუშათა მაგიდის საშუალებით შემდეგი სურსათი: 1) შაქარი 1 გირ. რაციონზე. 2) ბრინჯი—1 გირ. რაციონზე, 3) მარილი—1 გ. რაციონზე. 4) ჩაი—მერვედი გირ. რაციონზე. 6) ნავთი—20 გირ. ოჯახზე და თუ ნავთის დარიგების წინ დაიწყება კეროსინის გადმოტანა ნავთსადენით, მაშინ 1 (თითო) ფუთი.

— **ხორცმოქმედებისთვის.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა გადასწყვიტა სამართალში მისცეს თ. სეროპი პურის მიღებისთვის მუშათა მაგიდიდან და იმავე დროს საბინაო კომიტეტიდან.

— **რძის ფერმები.** სასურსათო სახალხო კომისარიატმა, ტფილისის უზრუნველყოფისათვის რძის ნაწარმოებით, ნება დართო მომარაგების განყოფილებას გამართოს ტფილისის მიდამოებში სარძეო ფერმები. მომარაგების განყოფილება შეუდგა მაწველ საქონლის ყიდვას.

— **ზრუნვა სურსათისათვის.** სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა გაუგზავნოს დეპეშები პროვინციების ყველა რევკომებს თხოვნით გამოუცხადონ მცხოვრებლებს, რომ მათ თავისუფლად შეუძლიანთ ყოველგვარ სურსათის ჩამოტანა ტფილისში. ამავე დროს სურსათის სახალხო კომისარიატი სთხოვს პროვინციის რევკომებს ურჩიონ ხალხს ზ[illegible] სურსათი გამოუგზავნონ ქალაქს.

— **პური მცხოვრებთათვის.** სურსათის სახალხო კომისარიატმა მისწერა ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტს მიიღეთ ყველა ზომები, რომ პურის გაცემა მოწესრიგდეს იმის მიხედვით, რამდენიც ახალი საბინაო კომიტეტი არსდება, რათა საბინაო კომიტეტის რომელიმე წევრი უპუროდ არ დარჩეს.

— **ფინანსთა სახალხო კომისარიატში.** ფინანსთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მართველად დაინიშნა ფინანსთა სამინისტროს ვაჭრობა-მრეწველობის ყოფილი დირექტორი ე. ნ. ალშიბაია.

— **მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში.** მიწადმოქმედების სახალხო კომისარი ფ. მახარაძე ღებულობს სამსახურის საქმეთა გამო სამშაბათობით და პარასკეობით დილის 11—12 საათ. კომისარიატის შენობაში. კოლეგიის წევრთ ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 10—11 საათამდე.

— **მინდვრების დამუშავება.** ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტის კომუნალურმა განყოფილებამ მიმართა ცარიელ ადგილების პატრონებს ქალაქის ფარგლებში და უბძანა მათ დათესონ ეს ადგილები 1 აპრილამდე. ამ ვადაზე დაუთესველი ადგილები ჩამოერთმევათ პატრონებს და გადაეცემა დასათესად უცხო პირთ.

— **პროფესიონალური ცხოვრება.** კვირას 27 მარტს, დილის 10 საათზე ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში შესდგება მიწათ-მოქმედების კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშირის წლიური საზოგადო კრება.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება: პროფ. კავშირების მნიშვნელობა, სოციალისტ. რესპუბლიკის აღმშენებლობის ხანაში (მომხსენებელი საქ. რევკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე). 2) მოხსენება გამგეობისა, 3) წესდების განხილვა, 3) არჩევნებისა, სარევ. კომისიისა და სასურსათო კომიტეტისა, 5) მიმდინარე საკითხები. დასწრება კავშირის ყველა წევრთათვის სავალდებულოა. წევრებმა უნდა იქონიონ თან საწევრო ბარათები.

— **ტელეგრაფის შეკეთება.** 22 მარტს შეკეთდა ტელეგრაფი ტფილისიდგან ბათუმამდე. ტელეგრაფი კარგათ მუშაობს.

— **კონტროლი საბინაო კომიტეტებზე.** მომარაგების სახალხო კომისარმა საჭიროთ სცნო, საბინაო კომიტეტების მოქმედების კონტროლის მიზნით 1) ეთხოვოს პროფკავშირებს და კომპარტიის ც. კ. გამოგზავნონ ცენტრალურ მომარაგების ბიუროში თავიანთ წარმომადგენელნი, 2) ეთხოვოს ქალაქის რევკომიტეტს გასცეს განკარგულება მილიციისადმი, რომ ოთხი დღის განმავლობაში საბინაო დავთრები მოყვანილ იქნეს წესრიგში და 3) კონტროლი გაწეულ იქმნას სიების შედარებით საბინაო დავთრებთან და მეზობელთა გამოცემები.

— **ახალი გამოცემები.** საქართველოს მწარმოებელთა პროფკავშირის საბჭო შეუდგა ორგანოს გამოცემას „შრომის მოამბე"—სახელმწიფო გამოცემლობის ეკონომიურ განყოფილება შეუდგება გამოცემას კავკასიის ჟურნალისა „ეკონომიური ცხოვრება". სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ვნ. სულადოვი და მ. ნ. სმირნოვი.

— **გერმანულ ელჩის რაუშერის განცხადება.** ამ. შეინმანთან ერთად ტფილისში ჩამოსულმა გერმანელმა ელჩმა რაუშერმა შემდეგი განცხადება გრუზაგენტას თანამშრომელს. ეხლახან გათავებულ ომის დროს მე უნდა ვყოფილიყავი იქ, სად იმყოფებოდა საქართველოს ყოფილი მთავრობა, რომელთანაც მე ვიყავი წარმოგზავნილი. რადგანაც ამ მთავრობამ დატოვა სახელმწიფო და დაუთმო მას ფაქტიური ხელისუფლება, მე აუცილებლათ ვთვლიდი როგორც საქართველოს, აგრეთვე გერმანიის ინტერესებისათვისაც, რაც შეიძლება ჩქარა დავბრუნებულიყავი საქართველოს დედა ქალაქში. მიუხედავათ იმისა, რომ მგზავრობა ძალიან ძნელი იყო დაფეთქებულ ხიდების გამო, მე მაინც ჩქარა ჩამოველი ტფილისში და მაშინვე შევუდექი ჩემი მოვალეობის აღსრულებას. გაზეთების ცნობა იმის შესახებ, ვითომ და მე გახზირებული მქონდა ევროპაში წასვლა, სიმართლეს მოკლებულია.

სხვა დიპლომატიურ წარმომადგენელთა გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მე მუდამ იმ აზრის ვიყავი, რომ არ წავსულიყავი კავკასიიდან. მე დავრჩი აქ, რასაკვირველია, არა მარტო ჩემი სურვილის თანახმათ, არამედ ჩემი მთავრობის ნებართვითაც, ეს გარემოება იმის დამამტკიცებელია, თუ რა დიდი ინტერესით ეპყრობა გერმანია ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ ბედს. ტფილისი დიდათ მნიშვნელოვანია გერმანიისათვის. განსაკუთრებულათ მნიშვნელოვანია იმით, რომ ანტანტის და ოსმალეთს შორის დროებითი ზავის პირობათა ერთ-ერთ შესაბამისი მუხლით სასტიკათ ეკრძალება ყველა გერმანელს არა თუ ცხოვრება, არამედ დროებით გადმოსვლაც კი სტამბოლში. უნდა გითხრათ, რომ საბჭოთა ტფილისმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მე მაკვირვებს ორი რამ: წესრიგი და სრული სიმშვიდე ქალაქში, აგრეთვე ყველა ხალხისთვის აუცილებელ დაწესებულებების წესიერი მუშაობა. სახელდობრ წყალსადენის, ელექტრონის სადგურების და ტრამვაის. უნდა ვთქვა, რომ კავკასიას შეუძლია გამოიყენოს თავისი სიმდიდრე მხოლოთ ბაქოსა და ბათუმს შორის პირდაპირი დამოკიდებულებით. ბათომი არის ისეთი ნავთსადგური, საიდანაც უნდა შემოვიდეს იმპორტი მთელ კავკასიაში. ბაქოს კი შეუძლია მისცეს ყველაფერი, რაც აუცილებელია კავკასიის მრეწველობის ვაჭრობა განვითარებისათვის. ყოველ გვარი პოლიტიკა, რომელიც ავიწროებს ან წყვეტს და ბათომს შუა პირდაპირ მიმოსვლას, შეავიწროებს და დაანგრევს კავკასიის საცხოვრებელი ძალღონეს და შეაწყვეტს მეზობელ რესპუბლიკასადმი საჭირო საგნების მიწოდებას. ის გარემოება, რომ ჩემმა მთავრობამ თანხმობა განაცხადა ტფილისში ჩემ დარჩენაზე, აშკარათ ამტკიცებს მის განზრახვას პოლიტიკური კავშირის დაიცვას კავკასიასთან. მე არ შემიძლიან ვსთქვა, თუ როგორი ფორმა იქნება მიღებული ჩემი მთავრობის მიერ, საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით, კავკასიასთან პოლიტიკურ დამოკიდებულების დასამტკიცებლათ, როგორ დიპლომატიური ნაბიჯებს გადადგამს ის ამ შემთხვევაში. მე ჯერ არ მაქვს ინსტრუქცია ბერლინიდან, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მიზანი იქნება გერმანიის და საქართველოს ერთა შორის მეგობრულ განწყობილების განმტკიცება, მიუხედავათ ორივე სახელმწიფოს ამა თუ იმ შინაგან რეჟიმისა ორივე ერთა შორის მეგობრულ განწყობილების განმტკიცება გაუმჯობესებს გერმანიისა და საქართველოს ეკონომიური მდგომარეობას, რასაც, მე დარწმუნებული ვარ, ხელს შეუწყობს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი და მთელი ქართველი ხალხი.

— **სომხეთის რევკომის წევრთა წასვლა.** მარტის 22 ტფილისიდან სომხეთში სასწრაფო მატარებლით გაემგზავრენ სომხეთის რევკომის წევრები.

— **ამხ. ორახელაშვილისა და ენუქიძის ჩამოსვლა.** ტფილისში ჩამოვიდნენ ამხ. ორახელაშვილი და ენუქიძე, რომლებიც ქუთაისში იყვნენ წასული საქართველოს ყოფილი მთავრობასთან მოსალაპარაკებლად ამხ. ენუქიძე მოსკოვში მიემგზავრება.

— **ქართველ ხელოვანთა სასახლე.** ქართველ ხელოვანთა კომიტეტმა დაადგინა ყველა რაიონის კლუბში გამართოს პერიოდულად მუშებისთვის სალიტერატურო ესტეტიური სალამოები. ამავე კომიტეტის ინიციატივით ქართველ ხელოვანთა სასახლეში გაიმართება სამხატვრო სალამოები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, მწერლები, მსახიობები და მხატვრები.

— **რუსეთის მისიის წევრთა წასვლა.** 23 მარტს, საღამოთი ტფილისიდან მოსკოვს პირდაპირი მატარებლით გაემგზავრა ნაწილი რ. ს. ფ. ს. რ. მისიის წევრებისა.

— **პროფესიონალური ცხოვრება.** პროფ. კავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე მარტის 20 დადგენილ იქნა პროფ. კავშირების მოწყობისა და ინსტრუქციების გამომუშავებისათვის შეიქნას შტატი ინსტრუქტორებისა 10 პროვინციისა და 5 ქალაქისათვის. საბჭოთა მომუშავეების კავშირის ორგანიზაციის საკითხის შესახებ გადაწყდა: წინადადება მიეცეს საორგანიზაციო ბიუროს ამ კავშირის დაარსებისთანავე მოახდინოს გამგეობის არჩევნები. სავაჭრო-სამრეწველოების და საკრედიტო დაწესებულების მოსამსახურეთა უმცროს და უფროს სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირების დელეგატთა შეერთებულ სხდომაზე.

შრომის სახალხო კომისარიატის განყოფილებამ დაადგინა. შეაერთოს შრომის მოწესრიგების განყოფილება პროფკავშირების საბჭოსთან და აგრედვე შეერთდეს შრომის სახალხო კომისარიატის სტატისტიკური განყოფილება და პროფკავშირების საბჭო.

— **„სურსათის" კავშირში.** მარტის 20 „სურსათის" კავშირის სხდომაზე მოისმინეს მოხსენება ამხ. სეროპიანისა და სირაძისა მიმდინარე საკითხის შესახებ. რომლის შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: სასურსათო კავშირის საერთო კრება ადგენს მიესალმოს რევოლიუციონერ ძალებს და საქართველოს განთავისუფლებულ პროლეტარიატს და ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ საქართველოს პროლეტარიატი გადალახავს ყველა დაბრკოლებებს იმ მიზნის მისაღწევად, რომლისაკენაც მიისწრაფვის მსოფლიო რევოლიუცია. ამასთანავე კრება ადგენს თვალყური ადევნოს და დაიცვას სოციალისტური საქართველო ყოველ შინაურ ბნელ ძალებისაგან. საერთო კრება წინადადებას აძლევს ყველა მუშებს სინდისიერად აწარმოვონ ახალ მუშური სახელმწიფოს სააღმშენებლო მუშაობა.

— **მიწათ-მოქმედების კომისარიატის პროფკავშირში.** კვირას, მარტის 27. დილის 9 საათზე, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში შესდგება მიწათ-მოქმედების კომისარიატის პროფკავშირის საერთო კრება. დღის წესრიგი რევკომის თავმჯდომარის მახარაძის მოხსენება, გამგეობის მოხსენება, წესდების განხილვა, არჩევნები, დასწრება სავალდებულოა.

— **მიწის და ტყის მომუშავეთა კავშირში.** მიწის და ტყის მუშათა საორგანიზაციო კომიტეტი ხუთშაბათს, მარტის 24-ს საღამოს 5 საათზე ქალაქის საბჭოს შენობაში იწვევს საერთო კრებას ყველა ამხანაგებისას, რომლებიც მუშაობენ მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატში, ცენტრალურ ლაბორატორიაში, ბოტანიკურ ბაღში, საამრეწმო სადგურში, სახელმწიფო თვლაში, ღვინის სარდაფებში. სახალხო გვარდიის სასოფლო-მეურნეობის განყოფილებაში, საბჭოთა ფერმებში, ქალაქის სანერგეებში, მეტყეობაში, და აგრედვე კერძო ბაღების და ბოსტნების მუშა-მოსამსახურეებს. მოწვეულნი არიან აგრედვე უმუშევრები, კრებისთვის წესრიგი: მოხსენება პროფკავშირის მიზნებისა და მიზანზე, საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება და დროებით ცენტრალურ კომიტეტის არჩევნები.

— **განცხადება.** 3 რტიული ბილეთი № 768. 66, აგრეთვე მანდატი მე 12 კავ. დივიზიის ნაწილების რევიზიის გაკეთების უფლებისა, პირადობის მოწმობა. ფულის ატესტატი მიც მული ამხ. სიმონოვის სახელზე, რომელიც გატაცებულ იქმნა მარტის 3-ს ტრამვაის ვაგონიდან ჩაითვალოს გაუქმებულად.

## საბჭოთა რუსეთი

**ნატურალურ გადასახადის კანონის მიღება.**

ამხ. კალინის მოხსენების შემდეგ გამოაქვეყნეს ნატურალურ გადასახადის კანონის პროექტი, რომელიც ერთხმად მიღებულ და გადაცემულ იქმნა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისაში საბოლოოდ დასამუშავებლად.

**წითელი არმია. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილება წითელი არმიის შესახებ.**

უკანასკნელ დღეების განმავლობაში საბჭოთა რუსეთმა მოაწერა ხელი საზავო ხელშეკრულებას პოლონეთთან, სავაჭრო შეთანხმებას ინგლისთან და ხელშეკრულებას ოსმალეთთან. ამ სერიოზულ საერთაშორისო წარმატებას უპირველესი ყოვლისა მივაღწიეთ წითელ არმიის ე. ი. შეიარაღებულ მუშების და გლეხების გამარჯვებათა წყალობით, რომელთაც სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოთა რესპუბლიკის სახელით ხელახლათ უთვლის სოციალისტურ სამშობლოს

**დემობილიზაცია.**

შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობის გამო, სამხედრო მოსამსახურეთა ყველა წლები და კატეგორიები რომელთა გაშვებაც უვადო შვებულებაში გადაწყვეტილი იყო საბჭოთა მე-8 ყრილობის მიერ, დათხოვნილი უნდა იქმნენ, რაც შეიძლება, მოკლე ხანში. ყველა სათანადო დაწესებულება ვალდებულია, რომ ამ დათხოვნის საქმეს და თვით დათხოვნილებსაც აღმოუჩინოს ყოველ მხრივი დახმარება.

**წითელი არმია უფრო უნდა გამაგრდეს.**

ამასთანავე ერთად სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი თავის მოვალეობათ სთვლის რუსეთის და მთელ ქვეყნის მშრომელთა მასის წინაშე დაასახუროს მატერიალურ და სულიერ გამაგრების საჭიროება მუშურ-გლეხურ წითელ არმიისა, რომელსაც შეუძლიან უზრუნველ ჰყოს ხელშეუხებლობა ახარისა და შემდეგში მისი სოციალისტური განვითარება. მტაცებელი იმპერიალიზმს ჯერ კიდევ არ დაუყრია იარაღი. პირიქით, მთელს ქვეყანაზე, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუხწევია თავი ხალხთა უკანასკნელ ბრძოლის აღმაშფოთებელ შედეგებისაგან, კაპიტალისტური კლასები და მათი მთავრობანი უნახავ, (დამახინჯებულია) გაშმაგებით ამზადებენ ახალ შეჯახებებს და ომებს. კაპიტალისტური დამარცხებული სტრატეგები (დამახინჯებულია) როგორც გერმანია, ავსტრო-უნგრეთი და ოსმალეთი იქნებიან ნაწილ ნაწილ ჩამორჩენილი ხალხები უფრო მეტად, როდისმე შეადგენენ ყიდვა-გაყიდვის მტაცებლობას და დაჩაგვრის საგანს. მუშურ-გლეხურ რესპუბლიკა წინანდებურათ იძულებულია მტრულ-ლთადმი სტ-ფულვილი. არას დროს წყევლას, მისი სიძნელებას, წაქეზებას და პროვოკაციას ჩვენი მხარის წინააღმდეგ არ მიუხწევია იმ ზომამდე, როგორც ეხლა. ჩვენი ნებით ყოფა—შევინარჩუნოთ მშვიდობიანი დამოკიდებულებანი ყველა სხვა ხალხებთან—დაურღვეველია. მაგრამ ჩვენ უნდა ვიყვნეთ შეკავშირებულნი, მტკიცენი და შეიარაღებულნი. თუ გვინდა უზრუნველვყოთ ჩვენ საზღვრებზე მშვიდობიანობა და ვუშველოთ ჩვენს თავს იმპერიალისტურ მონობის და ახალ თავდასხმებისაგან.

**ხურვილია წითელი არმიის ხაშველათ.**

ყველა ორგანოები და დაწესებულებები მხარისა უნდა მიეშველნენ წითელ არმიას, რომელიც შემცირებულია თავისი რიცხვით, მაგრამ ძლიერია თავის სულიერი ორგანიზაციით. რამდენადაც კი მძიმე არ იყვეს ჩვენი მდგომარეობა ომის, ბლოკადის და იმპერიალიზმის აგენტების (ყაჩაღურ) ზურგში მუშაობის შედეგების გამო, ჩვენ მაინც უნდა გავაკეთოთ და გავაკეთებთ კიდეც ყველაფერს, რომ წითელი ლაშქარი იქმნეს გამოკვებილი და ჩაცმულ-დახურული. ყოველივე უყურადღებობა და დაუდევრობა ლაშქრის ნამდვილ საჭიროებების დარგში სახელმწიფო მძიმე დანაშაული იქნება.

**მეომრის პოლიტიკური და სამხედრო აღზრდა წითელ ლაშქრებისა უმნიშვნელოვანესი მიზანია.**

ქვეყნის კარგ მომუშავეთა ძალღონით უნდა ყოველმხრივად ამაღლებულ იქნას წითელი მეომრის სამხედრო და პოლიტიკური აღზრდა. სამხედრო სამოსწავლო დაწესებულებანი უნდა შეიქმნას მზრუნველობითი ყურადღების საგნად მუშურ-გლეხურ რესპუბლიკისა, უნდა შეიქნას მატერიალური და სულიერი პირობები, რომლის შემწეობითაც სარდლობის დაბალ შემადგენლობას შეეძლოს განუწყვეტლივ გაუმჯობესება თავის ბუნებრივ საქმეში, რაც შეიძლება მეტი რიცხვი ნიჭიერ სარდლობისა გამოიყენოს თავის წრიდან, რომლებიც იქნებიან მშრომელ მასის ხორცი-ხორცთაგან. სრულიად რუსეთის აღმ. კომიტეტი წინადადებას აძლევს თავის პრეზიდიუმს და სახალხო კომისართა საბჭოს შეკრიბოს შემდეგ სესიაში. ყველა ცნობა ცენტრალურ ორგანიზაციების და დაწესებულებათა მუშაობის შესახებ ჩვენ ლაშქრის სამეურნეო სამხედრო პოლიტიკურ და კულტურულ დარგებში. გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ ლაშქარს, მშვიდობიანობის და სოციალისტურ აღმშენებლობის დარაჯად მდგომს. სრულიად რუსეთის აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

## სპეკულიანტებთან ბრძოლა.

გამოქვეყნებულია ბრძანება, ხელმოწერილი საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარისგან, რომელშიც აღნიშნულია ფაქტი მოქალაქეთა თავმოყრისა სასურსათო დუქნების წინ მდგომ რიგებში. სრულიად შემოწმებულ ცნობების მიხედვით, რიგების გამრავლების მიზეზათ უნდა ჩაითვალოს მსხვილ ვაჭართა მიერ საქონლის გადამალვა, რომლის დიდძალი მასალა მათ შემონახული აქვთ, რათა შემდეგში იგივე საქონელი გაყიდონ გაცილებით მეტ ფასში, საქართველოს საგანგებო კომისია, რომელიც უდგას დარაჯათ სოციალისტურ რევოლიუციის დასაცველად, საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყოველივე გადამალვა სურსათის და საქონლისა განხილულ იქმება, როგორც კონტრ-რევოლიუციონური მოქმედების აქტი.

ყველა ვაჭრებს ეძლევათ წინადადება სამი დღის განმავლობაში გამოალაგონ დუქან-მაღაზიებში ყველა გადამალული საქონელი, როგორც: ფქვილი, შაქარი, კრუპა, ერბო, ხორცი, ხილი და სხვა პირველ საჭიროების სურსათი და გაყიდონ დაწესებულ ნიხრის თანახმად. ამ ბრძანების აუსრულებლობისთვის როგორც ვაჭრებს, აგრეთვე საქონლის გადამალვაში მონაწილეობის მიმღებთ მოელით უდიდესი სასჯელი—დახვრეტა და ქონების კონფისკაცია.

## სოც.-ფედ. პარტიაში

**კვირას, დილით 11 საათზე სოციალისტ-ფედერალისტების რედაქციაში დანიშნულია საგანგებო სხდომა მთავარი კომიტეტის, მუშათა კავშირის და პროფესიათა წარმომადგენლებისა, დასწრება სავალდებულოა. განიხილება სასწრაფო საკითხები.**

## უცხოეთი

**საოკუპაციო ჯარების შორის გაჩხრეკილება.**

**ნაუენი.** მარტის [illegible] (რადიო). [illegible] დონში [illegible] და საფრანგეთის [illegible] მოხდარმა შეტაკებამ, რომელიც იყო გამოწვეული უკანასკნელთაგან ლუქსემბურგში მიმავალ შტრეიხბრეხერების ბელგიის საზღვარზე გატარებით.

**ამერიკა უარს ამბობს.**

**ნაუენი** მარტის 20 (რადიო). გარდინგის მთავრობამ გამოაქვეყნა ნოტა, რომელშიაც იგი უარს აცხადებს ამერიკის მხრივ მონაწილეობის მიღება ნაციათა ლიგის და ანტანტის კონფერენციაში, რომელიც მოწვეულია გერმანიის ახალშენების საკითხის გამო. ამერიკის მთავრობა იტოვებს უფლებას მოაწესრიგოს ეს საკითხი დიპლომატიური მოლაპარაკების გზით.

**უმუშევრობის ზრდა ინგლისში.**

**ნაუენი** მარტის 20 (რადიო) მარტის 11 ინგლისში ითვლებოდა 1.315.000 უმუშევარნი.

**ახალი კრიზისის წინაშე.**

**ნაუენი.** მარტის 23. (რადიო). საფრანგეთის პრესის მიერ წამოყენებულმა წინადადებამ ოქროს კონფისკაციის შესახებ, რომელიც ეკუთვნოდა გერმანიის საიმპერიო ბანკს, ერთი მილიარდი ოქროს მარკის ანაზღაურებლად, რაც უნდა გერმანიას მიეცა მოკავშირეებისათვის პირველ აპრილისათვის, გერმანიაში შესამჩნევი შიში მისცა მიმართულ შეკითხვაზე საიმპერიო ბანკმა შეატყობინა, რომ ის ნებაყოფლობით არ მისცემს თავის ოქროს მარაგს და უკანასკნელ შეძლებლობამდის გაუწევს წინააღმდეგობას მის ჩამორთმევისთვის, ბანკის მიერ საკრედიტო ბილეთების ინტერესებისათვის, რადგანაც ოქროს მარაგის დაკარგვა ბუნებრივად გამოიწვევს ხსენებულ ბილეთების საგრძნობად დაცემას. შემდეგ ბანკი აღნიშნავს, რომ აქამდის გერმანიაში ბანკის საწყობებს უყურებდნენ, როგორც კერძო საკუთრებას, რომლის ჩამორთმევა არ შეიძლება ომიანობის დროსაც კი ბანკი მიისწრაფის დაეყრდნოს უცხო სახელმწიფოთა დახმარებას, მიუთითებს რა, რომ უცხო სახელმწიფონი, განსაკუთრებით შეერთებული შტატები, ჰოლანდია და სკანდინავია შესამჩნევად დაინტერესებულნი არიან დაიცვან გერმანიის ფულის კურსი, რადგანაც მათ ხელში მოგროვილია შესამჩნევი რაოდენობა გერმანიის განძეულობისა—არა ნაკლებ 20 მილიარდი მარკი ა: ამას გარდა გერმანიას აქვს საბანკო ბალანსი საზღვარ გარეთ, უმთავრესად შეერთებულ შტატებში. რომელიც აღწევს 30 მილიარდს. როგორც შემდეგ, აცხადებს ბანკი, ამერიკელებმა შეიძინეს აუარებელი გერმანული ქონება: საკრედიტო ბილეთები, სესხები, საქალაქო ბონები და სხვა მისთანა. დასასრულ ბანკი წინასწარმეტყველობს, რომ მის ოქროს კონფისკაცია დიდ დაბრკოლებას შექმნის გერმანიის საგარეო ვაჭრობისათვის და გამოიწვევს სავაჭრო კრიზისს, რომელიც გავრცელდება სხვა სახელმწიფოებშიაც.

**ამერიკა დათმობის გზაზე**

**ლონდონი**. მარტის 20. ნიუიორკიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: პროკურორის განკარგულების თანახმად შრომის დეპარტამენტმა გააუქმა ბრძანება ამერიკის საზღვრებიდან საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის მარტენსის გადასახლების შესახებ. ამით უარყოფილია ყველა ბრალდება მარტენსის წინააღმდეგ და მას უფლება ეძლევა დაბრუნდეს ამერიკაში.

## ფკიპურტი

სპილოს შემოდგომაზე ყურში შეუძვრა კოღო, გაზაფხულზე ისევ გამოძვრა და მადლობა გადაუხადა სპილოს „ზამთარი შენ ყურში გავატარეო".

სპილომ უპასუხა: „მე შენი ვერც მოსვლა გავიგია და ვერც წასვლაო".

ეს თქმულება გამახსენდა როცა მოხეტიალე ქურხულის წერილი წავიკითხე კომუნისტში.

მმმ.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი ს.-ფ. მთავარი კომიტეტისა.

სტამბა „სახალხო საქმე" კოლოუბნის ქუჩა № 14. ნ. ფ. ს. მ.